პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ორშაბათი, 17 აგვისტო 1936 წ. № 189 (4698)

ფასი 10 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

- უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის სახელწოდება („პრავდის" მეთაური)
- ლ. ბერია — ბელადის თანამებრძოლი.
- პროლეტარული რევოლუციის რკინის ქუსლით გავსრისოთ ქვეწარმავალნი
- ამხ. ლევანევსკი უელენში მიფრინდა
- სომხური კულტურის ხუთდღიური ტფილისში.

უცხოეთში

- სამხედრო ფაშისტური ამბოხება ესპანეთში. რესპუბლიკური ჯარების წარმატება სამხრეთის ფრონტზე
- მეამბოხეთა უკანდახევა გვადარამის ფრონტზე
- მუშათა მილიციის რაზმელთა გმირობა.
- მეამბოხეთა ფრონტის გარღვევა ოვიედოში.
- მეამბოხე გენერლების შეხვედრა.
- იაპონიის მოსკოველი ელჩის ოტას ინტერვიუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის სახელწოდება

XX საუკუნის გარიჟრაჟზე, მძვინვარე თვითმპყრობელობის მძიმე წლებში, ერთმა მუჭა მამაცმა რევოლუციონერებმა ლენინისა და სტალინის მეთაურობით დაიწყეს ახალი ტიპის პარტიის შენება. ისინი თავს უყრიდნენ განსაკუთრებული წყობის ადამიანებს, რომლებსაც შესწევდათ უნარი გაბედულად და თამამად მიეტანათ იერიში ძველ სამყაროზე. გამარჯვებისთვის ადვილად როდი მიგვიღწევია! ბოლშევიზმის ისტორია ყოველი ჩვენგანის მეხსიერებასა და შეგნებაში აღადგენს შეურიგებელ, გმირულ ბრძოლას მარქსიზმ - ლენინიზმის სიწმინდისათვის, რევოლუციური პრინციპების ურღვევლობისათვის, ბრძოლას სოციალიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ.

ბოლშევიზმი გაიზარდა და გაკაჟდა მუშათა კლასის ყველა მტერთან მკაცრ ბრძოლაში. პარტიამ გაანადგურა ყველა რევიზიონისტი, რენეგატი, რევოლუციის საზიზღარი გამცემლები, დაწყებული მენშევიკებითა და ესერებით, გათავებული ტროცკისტებითა და ზინოვიეველებით, რომლებიც პოლიტიკურ ბანდიტებად, ფაშისტური ოხრანკების ქოთაქებად გადაიქცნენ.

რევოლუციის ყველა მტერთან შეურიგებელი ბრძოლის შედეგად, ლენინურ-სტალინური ორგანიზაციული პოლიტიკის მეოხებით პარტიამ შექმნა თავისი შინაგანი ერთიანობა, გასაოცარი შემჭიდროვება და აღზარდა კომუნისტები რკინისებური დისციპლინისა და რევოლუციური სიფხიზლის საფუძველზე. ეს თვისებანი—ბოლშევიზმის კანონია! ამ თვისებათა მქონებელმა ჩვენმა პარტიამ თავისი მძლავრი მხრებით გადიტანა ოქტომბრის დიადი აჯანყება, მოაწყო გამარჯვება გმირულ სამოქალაქო ომში, აღადგინა ჩვენი ქვეყნის დანგრეული მეურნეობა და ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მისი უდიდესი თანამებრძოლის, რევოლუციის ბრწყინვალე სტრატეგის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გააჩაღა ტიტანური მუშაობა სოციალიზმის მშენებლობისათვის.

მხოლოდ კომუნისტური პარტია წარმოადგენს რევოლუციური მუშათა კლასის ნამდვილ ავანგარდს. პარტია შეიცავს მის საუკეთესო წარმომადგენლებს, იგი შესდგება რევოლუციისადმი მთელი თავისი არსებით ერთგული ადამიანებისაგან. მან შესძლო განუყრელად დაკავშირება თავის კლასს, თავისი ხალხის მთელს ცხოვრებასთან, იგი ერთმანეთთან ახამებს უმაღლეს პრინციპულობას და ფართო მასებთან უაღრესად მჭიდრო კავშირს. მხოლოდ ასეთი პარტიის ხელმძღვანელობით შესძლო პროლეტარიატმა, ხოლო უფრო გვიან მთელმა საბჭოთა ხალხმაც, გაეშალა რევოლუციური შეტევის მთელი ძლიერება, მთელი თავისი ძალა, დაუშრეტელი ენერგია, ტალანტთა მილიონები.

პარტია ისე ძლიერი და მონოლითური არასოდეს ყოფილა, როგორც ახლა. მან უკვე აღმართა სოციალიზმის გიგანტური შენობა დედამიწის მეექვსედზე. იგი გარშემორტყმულია საბჭოთა კავშირის მილიონიანი მასებით, სახელოვანი ახალგაზრდობის არმიით, ათასობით არაპარტიული ბოლშევიკებით, რომლებსაც პარტია მიაჩნიათ ერთადერთ ხელმძღვანელად და რომლებსაც უსაზღვრო სიყვარულით უყვართ ამხანაგი სტალინი. სალ კლდესავით დგას ჩვენი პარტია, იგი იგერიებს მტრების ყოველ იერიშს და მიჰყავს მუშათა კლასი, მთელი საბჭოთა ხალხი წინ, კომუნის სამეფოს ელვარე კარიბჭისაკენ! ასე მძლავრი და ურყევი არასოდეს ყოფილა საბჭოთა კავშირი—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლო!

მაგრამ ერთ წუთსაც არ შეიძლება თავდამშვიდება, პერსპექტივის დაკარგვა, სიფხიზლის შენელება. თუმცა მოსპობილია ყველა ექსპლოატატორული კლასი, მაგრამ დარჩნენ მათი ცოცხალი წარმომადგენლნი; თუმცა ყველა ოპოზიცია განადგურებულია, მაგრამ დარჩნენ მათი ბინძური ნაძირალები. ეს მტრები განაგრძობენ საზიზღარ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ და თავიანთ საზიზღარ საქმიანობაში გაშმაგებულ ფაშისტურ ნაძირალებს უკავშირდებიან. ისინი არ თაკილობენ არავითარ საშუალებას. მათ სულს იქით არა გააჩნიათ რა გარდა პირუტყვული სიძულვილისა პარტიისადმი, მისი ბელადებისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი. ტერორი, პოლიტიკური ბანდიტიზმი — გაცოფებულ ნაძირალთა ეს ბინძური იარაღი, — მათი საზიზღარი ბრძოლის ერთადერთი მეთოდი გახდა.

სამგზის საზიზღარი სამეული — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი — და მათი ნაბოლარები განაგრძობენ თავიანთ სამაგელ, საზიზღარ ტერორისტულ საქმიანობას. რიცხვობრივად ისინი არარაობას წარმოადგენენ. მაგრამ ისინი მიეყიდნენ ფაშისტურ ოხრანკებს, ეწევიან ჯაშუშობას, მოქმედებენ როგორც ბანდიტები, როგორც გაშმაგებული მტრები. ისინი თვალთმაქცობენ, ყოველნაირად ცდილობენ მიიღონ პარტიული ბილეთი და, ეფარებიან რა მას, ამზადებენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ, მავნებლობენ, ანიავებენ ხალხის ფულს. და იქ, სადაც მიძინებულია კლასობრივი სიფხიზლე, მაღლა არა დგას და წმინდად არ არის დაცული პარტიის წევრის საპატიო სახელწოდება, იქ მტრები ახერხებენ ამოეფარონ პარტბილეთს, გამოიყენონ კომუნისტის წმინდა სახელწოდება სამაგელი და საზიზღარი მოქმედებისათვის. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ და გამოცვლამ გამოააშკარავა არც თუ ისე ცოტა ისეთი ორგანიზაციები, სადაც ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი სიფხიზლე, სადაც შერყეულია დისციპლინა, სადაც თავისუფლად თარეშობს მტერი. ცოტანი როდი არიან ჩვენს პარტიაში ლიბერალებიც, რომლებიც დემოკრატობანას თამაშობენ იქ, სადაც საჭიროა რევოლუციონერის რკინის ხელი.

ჩვენი პარტია — მმართველი, მთლიანი და ერთადერთი პარტია ჩვენს ქვეყანაში — წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ხელმძღვანელ საწყისს. ამიტომ კომუნისტის თვით ოდნავი მოდუნებაც კი პარტიის წინაშე — ეს არის დანაშაული ქვეყნის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს თვითეულ კომუნისტს, რომელ უბანზედაც უნდა იდგეს იგი.

რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი პარტიის გამარჯვებანი, წინ არა ცოტა სიძნელეები გვიდევს, წინ გიგანტური ამოცანები გვაქვს დასახული. დაუღალავად ვიაროთ წინ, ბოლშევიკურ სულისკვეთებით აღვზარდოთ ადამიანთა ახალი მილიონები, ვამზადოთ ისინი მამაცური ბრძოლისათვის. მთელი ამ გიგანტური სამუშაოს შესრულება წარმოუდგენელია ისე, თუ არ ავამაღლეთ პარტიის როლი, თუ აქტიურად, ნამდვილ რევოლუციურად არ იმუშავა თვითეულმა კომუნისტმა.

„პარტია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ესაჭიროება პროლეტარიატს არა მარტო დიქტატურის მოსაპოვებლად, იგი კიდევ უფრო მეტად ესაჭიროება მას იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დიქტატურა, განამტკიცოს და გააფართოოს იგი სოციალიზმის სრული გამარჯვების ინტერესებისათვის".

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ახალ მოვლენარე მწვერვალებზე ადის, განუზომლად რთულდება პარტიის ამოცანები, მატულობს ყოველი კომუნისტის პასუხისმგებლობა.

კომუნისტი ნამდვილად უნდა იყოს მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური, ყველაზე შეგნებული წარმომადგენელი. კომუნისტი — ეს მებრძოლია! და უწინარეს ყოვლისა მას უნდა ჰქონდეს რევოლუციური სიფხიზლე. პარტიას არ შეუძლიან მოითმინოს თავის რიგებში დოყლაპიები, მოლაყბეები, უდარდელი ჩინოვნიკები, თავისებური ობლომოვები, რომლებიც პარტიის საზღვრებს ხსნიან ისე, როგორც დაუდევარი გუშაგი ხსნის ქვეყნის საზღვრებს. სიფხიზლე — თვითეული ბოლშევიკის ძირითადი თვისებაა. საჭიროა, რომ (გამოტოვებულია) კომუნისტს მთელს მის ყოველდღიურ მუშაობაში თან სდევდეს ბოლშევიკური, პატიოსანი, კეთილშობილი შინაგანი აღელვება პარტიის საქმისათვის, რომ მან შეძლოს თავის დროზე გამოიცნოს მტერი, რა სამოსელშიაც უნდა გამოეწყოს იგი.

კომუნისტი — ეს მებრძოლია! და ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა იყოს რკინისებური დისციპლინა, რომელიც სამხედრო დისციპლინას უნდა ესაზღვრებოდეს, ვინაიდან ჩვენ ვართ რევოლუციონერები, — საერთაშორისო პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადის მოწინავე რაზმი. ყოველგვარი დაუდევრობა, უდისციპლინობა, პარტიის წესდების დარღვევა ხელს უწყობს მტერს გამოიყენოს პარტია, მისი ცალკეული წევრები თავისი დანაშაულებრივი მიზნებისათვის.

კომუნისტი — ეს მებრძოლია! იგი საფუძვლიანად უნდა იყოს დაუფლებული ლენინ-სტალინის რევოლუციურ თეორიას და დღითი დღე უნდა ამაღლებდეს თავის პოლიტიკურ დონეს.

ბოლშევიკის პარტიულობის მთავარი ნიშნები ჩაწერილია ჩვენი პარტიის წესდებაში. წესდება მთელი პარტიული ცხოვრების ურყევი კანონია. იგი პარტიის წევრისაგან მოითხოვს ავანგარდულ როლს წარმოებაში, რკინისებური დისციპლინის დაცვას, ბოლშევიკური სიფხიზლის გამოჩენას, თეორიული დონის ამაღლებას. წმინდად დავიცვათ ბოლშევიზმის ეს მცნებანი!

ყოველი ბოლშევიკი უნდა ცდილობდეს იმუშაოს და იცხოვროს ისე, როგორც გვასწავლიდა ლენინი, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ყოველი კომუნისტი უნდა იყოს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ღირსეული შვილი, ღირსი პარტიის წევრის მაღალი სახელწოდებისა, იმ პარტიისა, რომელიც ახორციელებს კაცობრიობის საუკუნოებრივ ოცნებას — უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნას!

„პრავდის" მოწინავე, 14 აგვისტო.

კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია

10 აგვისტოსათვის საქართველოში კომბაინებით თავთავიანი მარცვლეული კულტურები აღებული იყო 45.597 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 38.860 ჰექტარისა. აქედან კოლმეურნეობებში კომბაინებით მოსავალი აღებულია 30.553 ჰექტარზე.

კომბაინებით გალეწილია 495.813 ცენტნერი მარცვალი.

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

რესპუბლიკური ჯარების წარმატება სამხრეთის ფრონტზე

მადრიდი, 15 აგვისტო. მადრიდის პრესა მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკური ჯარების მიერ პოსობლანკოს აღებას (კორდოვის პროვინცია). დღეს ნაშუადღევს ეს გამოაქვეყნა მთავრობის მეთაურმა. აღნიშნავენ, რომ ეს გამარჯვება მეტად აძნელებს მეამბოხეთა მდგომარეობას კორდოვაში (ადს).

ლონდონი, 15 აგვისტო. როგორც „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, ფაშისტების შეტევა მალაგაზე წარმატებით არ დაგვირგვინებულა.

„დეილი ტელეგრაფის" ცნობით, მუშათა პარტიზანული რაზმები ხელს უშლიან მეამბოხეთა ცდებს წინ წაიწიონ სევილიიდან ჩრდილოეთით.

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობით, მთავრობის ჯარებმა ბელალკასარს და პოსობლანკოს გარდა დაიკავეს სოფელი ინოხოსა-დელ-დუკე (კორდოვის პროვინცია) და ხელთ იგდეს სამხედრო საჭურველი და მრავალი ტყვე. მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ნავალმორალი ტოლედოს პროვინციაში. ესტრამადურაში ბრძოლები გრძელდება. ასტურიაში მთავრობის ჯარები ავიწროვებენ მეამბოხეებს (ადს).

მეამბოხეთა უკანდახევა გვადარამის ფრონტზე

პარიზი, 15 აგვისტო. მადრიდიდან იუწყებიან, რომ გვადარამის ფრონტზე მთავრობის არტილერიამ მეამბოხეებს უკან დაახევინა (ადს).

მუშათა მილიციის რაზმელთა გმირობა

ლონდონი, 15 აგვისტო. ბარსელონის მოსახლეობამ დიდი ენთუზიაზმით გააცილა სარაგოსის ფრონტზე მთავრობის ჯარების ძლიერი რაზმები. ამ ფრონტზე თავმოყრილია მუშათა მილიციის მნიშვნელოვანი ძალები. სარაგოსის ფრონტზე კავალერია პირველად წავიდა.

გუშინ სიგუენსის ტაძარში ალმოაჩინეს მუშათა მილიციის 50 რაზმელი. რაზმელებმა სროლა ასტეხეს. რამდენიმე ფაშისტი მოჰკლეს. რაზმელთა გამოსარეკად ტაძრიდან ფაშისტებმა დაანთეს კოცონი და ტაძრის გარშემო დადგეს ტყვიამფრქვევები. მაგრამ არცერთი რაზმელი არ გამოსულა ტაძრიდან. ყველამ თავი მოიკლა (ადს).

მეამბოხეთა ფრონტის გარღვევა ოვიედოში

ლონდონი, 15 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთის მთავრობის ჯარებმა მოახერხეს გუშინ მეამბოხეთა ფრონტის გარღვევა ოვიედოში, სადაც ამჟამად შეუპოვარი ბრძოლაა მეამბოხეთა და მთავრობის ძალებს შორის (ადს).

მეამბოხეთა სიმხეცე

ლონდონი, 15 აგვისტო. უფრო და უფრო ხშირდება მეამბოხეთა ბანაკიდან ჯარისკაცთა მთავრობის ჯარების მხარეს გადასვლა. ზოგიერთ შემთხვევაში ჯარისკაცები გადადიან ჯგუფ-ჯგუფად, 200—300 კაცი.

გაზეთების სიტყვით, მეამბოხეთა ლიდერებს შორის იზრდება უთანხმოება.

როდესაც ფაშისტებმა ალმენდრალეხო (ბადახოსის პროვინცია) დაიკავეს, მათ სიკვდილით დასაჯეს მუშათა მილიციის 1000-ზე მეტი რაზმელი, მათ შორის 100 ქალი. (ადს).

გლეხთა ბატალიონები

ლონდონი, 15 აგვისტო. „ნიუს ქრონიკლი" სწერს გლეხთა აქტიური მონაწილეობის შესახებ ფაშიზმთან ბრძოლაში. გლეხები არა მარტო იბრძვიან ქალაქის მუშებთან ერთად ფაშისტების წინააღმდეგ, არამედ მათ შეადგინეს გლეხთა განსაკუთრებული ბატალიონები (ადს).

მეამბოხე გენერლების შეხვედრა

პარიზი, 15 აგვისტო. „ექსცელსიორის" ცნობით, გენერალი ფრანკო და მოლა ერთმანეთს შეხვდნენ სევილიაში. როგორც გაზეთი „ეკო" აღნიშნავს, მოლა თვითმფრინავით ჩავიდა სევილიაში ბურგოსიდან, რამდენიმე საათის განმავლობაში ეთათბირა ფრანკოს და იმავე დღეს დაბრუნდა ბურგოსში (ადს).

გააფთრებული ბრძოლები ბადახოსისათვის

პარიზი, 15 აგვისტო. როგორც ესპანეთიდან იუწყებიან, მეამბოხეთა და რესპუბლიკელების ბრძოლას ბადახოსისათვის განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი ჰქონდა. ქალაქი საბოლოოდ მხოლოდ დღეს გადავიდა მეამბოხეთა ხელში. იტყობინებიან მასობრივი სიკვდილით დასჯის შესახებ, რაც ახლა ხდება ბადახოსში.

წუხელ სერიოზული ბრძოლები სწარმოებდა ჩრდილოეთის ფრონტზე ნავარის რაიონში. მეამბოხეთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ირუნის რაიონს, მაგრამ რესპუბლიკელებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები (ადს).

◇ ◇ ◇

ამხ. ლევანევსკისა და ლევჩენკოს გაფრენა

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ნომიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი და შტურმანი ამხ. ლევჩენკო 14 აგვისტოს, 14 საათსა და 10 წუთზე, ადგილობრივი დროით, გაფრინდნენ ნომიდან ციმბირის მიმართულებით. (ადს).

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ნომიდან იუწყება, რომ ლევანევსკის თვითმფრინავი ბერინგის სრუტეში წააწყდა ძლიერ ნისლს და დაბრუნდა ტელერს (ალიასკა), სადაც იგი ძირს დაეშვა 14 აგვისტოს 15 საათსა და 30 წუთზე ნომის დროით.

უელენი, 16 აგვისტო. საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ლევანევსკიმ, რომელიც გუშინ ტელერიდან (ალიასკა) გამოფრინდა, გადაუარა ბერინგის სრუტეს და იმავე დღეს 23 საათსა და 20 წუთზე უვნებლად დაეშვა უელენში (ჩუკოტის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი.

სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის თხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავად აზოვ-შავიზღვის რკინიგზას უწოდა თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის — ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების პირველი სარდლის — **კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის** სახელი;

მთიელთა მე-28 ნამთი მსროლელ წითელდროშოვან დივიზიას—ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** სახელი;

დონის მე-38 ლენინის ორდენოსან მსროლელ დივიზიას—ამხ. **მიქოიანის** სახელი.

ნოვოჩერკასკის ლოკომოტივმშენს—საბჭოთა კავშირის მარშლის **სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონის** სახელი.

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სახვითი ხელოვნების დარგში გამოჩენილი დამსახურებისათვის და სამხატვრო მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით **მხატვარი ა. მ. გერასიმოვი** დააჯილდოვა **ლენინის ორდენით.**

◇ ◇ ◇

ამხ. ვოროშილოვი საჰაერო თავდაცვის სწავლაზე ლენინგრადში

ლენინგრადი, 15 აგვისტო. დღეს ლენინგრადში ჩამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ვოროშილოვი. ამხ. ვოროშილოვთან ერთად ჩამოვიდნენ: მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ეგოროვი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ბუდიონი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის საჰაერო თავდაცვის უფროსი არმიის 1 რანგის სარდალი ამხ. კამენევი. მოსკოვის სადგურზე ამხ. ვოროშილოვს შეხვდნენ: საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკ. კ.პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ა. ჟდანოვი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის 1 რანგის სარდალი ამხ. ბ. მ. შაპოშნიკოვი, ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის სარდალი, ფლოტის მეორე რანგის ფლაგმანი ამხ. ლ. მ. გალერი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის ოლქის სამმართველოს უფროსი სახელმწიფო უშიშროების 1 რანგის კომისარი ამხ. ლ. მ. ზაკოვსკი, ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი არმიის 2 რანგის კომისარი ამხ. პ. ა. სმირნოვი, საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი, საკ. კ.პ. (ბ) ლენინგრადის ქალაქკომის მდივანი ამხ. ა. ი. უგაროვი, ლენინგრადის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. პ. გრინმანოვი, ლენინგრადის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ფ. კოდაცკი და სხვ.

ამხ. ვოროშილოვმა მიიღო ლენინგრადის გარნიზონისა და ბალტიის ფლოტის ნაკრები საპატიო ყარაულის უფროსის, ბრიგადის მეთაურის ამხ. კალვანის პატაკი, ჩაუარა საპატიო ყარაულის ფრონტს, მიესალმა მებრძოლებს, რომლებმაც საზეიმო მარშით ჩაიარეს.

მთელი დღის განმავლობაში ამხ. ვოროშილოვი ამხ. ჟდანოვთან ერთად ამოწმებდა ლენინგრადის საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციის მდგომარეობას და თვალყურს ადევნებდა სწავლის მსვლელობას.

ესპანეთის პრემიერ ხირალის ინტერვიუ

პარიზი, 15 აგვისტო. „ლუმანიტე" აქვეყნებს ინტერვიუს ესპანეთის მთავრობის მეთაურ ხირალთან:

„გამოგიტყდებით, — განუცხადა ხირალმა „ლუმანიტეს" კორესპონდენტს, — რომ საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი პოზიცია, მისი ნეიტრალიტეტის კონცეპცია ნაკლებ გასაგებად გვეჩვენება. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ საფრანგეთის დიდ პასუხისმგებლობას და გვესმის მისი მისწრაფება თავიდან აიცილოს საერთაშორისო გართულებანი რაც უნდა დაუჯდეს. მაგრამ ყველა ეს მისწრაფება ხომ ჩვენი მისწრაფებაც არის. ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ გვეხმარებოდნენ. მოვითხოვთ, რათა არ დაგვსაჯონ იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ ამბოხება მოაწყვეს. რატომ უნდა შეუქმნან კანონიერ მთავრობას განსაკუთრებული რეჟიმი, როცა ოფიცრებმა უღალატეს სამშობლოსა და რესპუბლიკას?

რატომ არ უნდა სრულდებოდეს ჩვენი ჯერ კიდევ 18 ივლისამდე მიცემული შეკვეთები საფრანგეთში მხოლოდ იმის გამო, რომ შეთქმულებმა დაგვესხნენ თავს? განა დასაშვებია, რომ როდესაც კანონიერი მთავრობა ცდილობს წესრიგი აღადგინოს?".

ხირალმა შემდეგ ხაზი გაუსვა ტანჟერში ესპანეთის მთავრობის დათმობათა მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ, სანამ ესპანეთის საქმეებში სახელმწიფოთა ჩაურევლობის საერთო შეთანხმება არ არის დადებული, არაფერი უშლის ხელს მეამბოხეებს მიიღონ იარაღი ზოგიერთი უცხო სახელმწიფოსაგან. „სახელმწიფოების მიერ ესპანეთის მიმართ მიღებული თვალსაზრისი, — აღნიშნა ხირალმა, — შექმნის კანონის ახალ ნორმებს. ქვეყნის კანონიერი მთავრობისთვის საკუთარი თავდაცვის საშუალებათა გამოყენების აკრძალვა, აკრძალვა მისთვის აღადგინოს წესრიგი—ნიშნავს იმათ წაქეზებას, ვინც თავისი პოლიტიკური და ტერიტორიული მისწრაფებების განსახორციელებლად ცდილობს სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს ამა თუ იმ ქვეყანაში. სახელმწიფო გადატრიალება საერთაშორისო პოლიტიკის საშუალება ხდება".

ხირალი დარწმუნებულია, რომ ესპანეთის ხალხი შესძლებს ფაშისტ მეამბოხეთა ბანდების ლიკვიდაციას. თავის რწმენას ის ღებულობს იმ ცნობებიდან, რომელიც ფრონტიდან მოდის, მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან, იმ დისციპლინიდან, რომელიც არსებობს როგორც ცეცხლის ხაზზე, ისე ზურგშიც. (ადს).

სამხედრო საჭურველი მეამბოხეებისათვის

ლონდონი, 15 აგვისტო. ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტო ბაზელიდან იუწყება, რომ 30 სამხედრო თვითმფრინავმა, ყველა ნიშნის მიხედვით გერმანულმა, შვეიცარიით ესპანეთისაკენ გადაიფრინა.

„დეილი ტელეგრაფის" სპეციალური კორესპონდენტი გიბრალტარში აღნიშნავს მეამბოხეთა „ავიაციის ტექნიკისა და მოწყობილობის მოულოდნელსა და გასაოცარ გაუმჯობესებას". მისი სიტყვით, უკანასკნელი თავდასხმანი მალაგასა და ბადახოსზე გვიჩვენებს, რომ მეამბოხეთა ავიაცია აღარ შესდგება მარტო ძველი სამოქალაქო თვითმფრინავებისაგან, რომელთაც არაკვალიფიციური პილოტები მართავდნენ.

◇ ◇ ◇

იაპონიის მოსკოველი ელჩის ოტას ინტერვიუ

ტოკიო, 14 აგვისტო. 13 აგვისტოს იაპონიის მოსკოველი ელჩი ოტა ტოკიოში ჩამოვიდა. ვაგზალზე ოტას შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი იაპონიაში ამხ. იურენევი, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. რაივიდი, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხორინუჩი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროს უფროსი ამო და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირები. სადგურზე იყვნენ სამხედრო სამინისტროს [illegible] იაპონიის ყოფილი [illegible] მოსკოვში პოლკოვნიკი ხატა, აგრეთვე საქმიანი წრეებისა და პრესის წარმომადგენლები.

დღეს ყველა გაზეთს მოჰყავს ოტას ინტერვიუ, რომელიც მან მისცა მატარებელში ტოკიოში ჩასვლის წინ. გაზეთი „ნიჩი-ნიჩი", რომელსაც ოტას ინტერვიუ ყველაზე დაწვრილებით მოჰყავს, სწერს, რომ ოტა შეეხო იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხებს და განაცხადა:

„იაპონია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მთელი თავისი საგარეო პოლიტიკის ფოკუსად ხდის [illegible] საბჭოთა საფრთხის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, იმ დროს, როდესაც სსრ კავშირის პოზიცია იაპონიის მიმართ [illegible] მშვიდობიანი იყო. მე სსრ კავშირში ძალიან იშვიათად გამიგონია კომენტარიები იაპონიის პოლიტიკის შესახებ სსრ კავშირის მხრით. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები ხაზს უსვამენ აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ომი და არ დაიკავებს გამომწვევ პოზიციას რომელიმე უცხო სახელმწიფოს მიმართ. ამიტომ მე არ ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ შეიარაღებული ძალის გამოყენებით იყოს შესაძლებელი. იმედი მაქვს, რომ იაპონია შესძლებს თავიდან აიცილოს კონფლიქტი სსრ კავშირთან, თუ ორივე მხარე დამშვიდებით შეისწავლის ურთიერთის პირობებს და განამტკიცებს ურთიერთობებს".

„ოთხი წლის წინათ, — განაგრძო ოტამ, — საბჭოთა კავშირმა იაპონიას თავდაუსხმელობის პაქტის დადების წინადადება მისცა. ვფიქრობ, რომ ეს წინადადება დღესაც ინარჩუნებს ძალას". „ამიტომ, — განაგრძო ოტამ, — თუ იაპონია დადებითად უპასუხებს ამ წინადადებას, სსრ კავშირი, როგორც ამას ყოველთვის აცხადებენ საბჭოთა ხელმძღვანელები, ყოველ დროს მზად იქნება დასდოს იაპონიასთან თავდაუსხმელობის პაქტი".

ოტამ შემდეგ აღნიშნა, რომ არავითარი ახალი წინადადება ამ საკითხის შესახებ არ გაკეთებულა მისი მოსკოვიდან წამოსვლის წინ და განაცხადა:

„რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების საკითხს, მე ამ საკითხზე მაქვს საკუთარი აზრი, რომელსაც საჭიროდ არ [illegible], ვინაიდან მთავრობის პოლიტიკას უნდა მივდიო".

„სსრ კავშირის მონაწილეობა ერთა ლიგაში, — აღნიშნა შემდეგ ოტამ, — [illegible] წარმატებას წარმოადგენს, ამას გარდა სსრ კავშირის დიდი მიღწევაა აგრეთვე დაახლოება ინგლისთან და ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნა ევროპაში. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებათა შედეგად ფრიად დიდია ლიტვინოვის ავტორიტეტი სსრ კავშირში, და სტალინი დიდად აფასებს ლიტვინოვს".

„სსრ კავშირისა და ინგლისის დაახლოება, — ხაზს უსვამს ოტა, — [illegible] ხშირად იაპონია-გერმანიის საფრთხის შესახებ და წარმოადგენს „საკითხს", რომელიც მნიშვნელოვნად ეხება იაპონიას". მაგრამ ამჟამად მეტად [illegible] ნაბიჯების გადადგმა. ოტამ, — სწერს „ნიჩი-ნიჩი", — აღნიშნა, რომ თუმცა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობა, აღმოსავლეთ — ჩინეთის რკინიგზის შეთანხმების შემდეგ, მეტად [illegible], მას მაინც აქვს [illegible] ხასიათი. ამიტომ იაპონია [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] და იაპონიის [illegible] საკითხზე".

„ინგლის—საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადება საბჭოთა კავშირისათვის [illegible] შესახებ, — ამბობს ოტა, — [illegible], რომ იაპონიის შესაძლებლობანი აქვს განავითაროს ვაჭრობა. საბჭოთა კავშირთან თუ ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცევა".

რაც შეეხება თევზსაჭერი მოლაპარაკების, განაგრძო ოტამ, — ძირითადი სიძნელე არის თევზსაჭერი უბნების სტაბილიზაციის საკითხი, ვინაიდან იმ დროს, როდესაც იაპონია დაჟინებით მოითხოვს იჯარის 12 წლის ვადას, საბჭოთა კავშირი თანახმაა მხოლოდ 5 წელზე. ამიტომ „აოვითარი პერსპექტივა არ არის, რომ ეს საკითხი სასწრაფოდ გადაიჭრება, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირი აცხადებს, საბჭოთა კანონები კრძალავს თევზსაჭერ უბანთა იჯარით გაცემას ხუთი წლის ვადაზე მეტი ხნით".

რაც შეეხება საბჭოთა შეიარაღებას შორეულ აღმოსავლეთში, — განაგრძო ოტამ, — მე მოსკოვიდან წამოსვლის წინ შევხვდი გერმანიის და საბჭოთა მთავრობის ყურადღება [illegible], რომ საბჭოთა კავშირის ძლიერი სამხედრო საზღვარი შორეულ აღმოსავლეთში იაპონიასა და მანჯოუ-გოს აღუძრავენ არადამაკმაყოფილებლობის გრძნობას შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ ვოროშილოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა შეიარაღება შორეულ აღმოსავლეთში ეწინააღმდეგება საბჭოთა თავდაცვის გეგმებს განხორციელების მიზნით, ამიტომ სრულიად ზედმეტია ამ საკითხის ხელახლა აღძვრა. ამასთან ვოროშილოვმა დასძინა, რომ საბჭოთა შეიარაღებას შორეულ აღმოსავლეთში აბსოლუტურად არა აქვს გამომწვევი ხასიათი".

გადავიდა რა იაპონიის შეიარაღებაზე, ოტამ გაზეთ „ნიჩი-ნიჩის" სიტყვით განაცხადა, რომ „იაპონიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არა მარტო შეიარაღების გაძლიერება მანჯურიაში, არამედ აგრეთვე იაპონიის შეიარაღებათა გაუმჯობესება მთლიანად, ვინაიდან მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ყველა სახელმწიფოებმა თვალსაჩინოდ გააძლიერეს თავისი შეიარაღება, ამიტომ იაპონიისათვის ფრიად აუცილებელია ევროპის სახელმწიფოთა დონემდე აიყვანოს თავისი შეიარაღება". საუბრის დასასრულს ოტამ, თუ იაპონია დაამთავრებს აუცილებელ სამხედრო მომზადებას, მაგრამ „არა იმისათვის, რომ იომოს".

ტოკიო ცუშინის სააგენტოს ცნობით, დღეს მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომის შემდეგ, ოტა ინახულებს საგარეო საქმეთა მინისტრ არიტას და დაწვრილებით მოახსენებს მას სსრ კავშირის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე შეიტანს მთელ რიგ წინადადებებს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ.

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

#ანტიფაშისტური მილიცია განაგრძობს ესპანეთის გაწმენდას რესპუბლიკის მტრებისაგან. „ენტრანსიჟანის" ცნობით, მადრიდის ციხეში დაპატიმრებულია დაახლოებით 2800 ფაშისტ-მეამბოხე. დაპატიმრებულთა შორის არიან გენერალი ფანხული და პოლკოვნიკი ფერნანდეს კინტანა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ 19 ივლისს გადატრიალება მოეწყოთ მადრიდში.

#რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულია სრული შეთანხმება ესპანეთში იარაღისა და სამხედრო საჭურველის ექსპორტის აკრძალვაზე.

#იაპონიის გაზეთის „შანხაი ნიჩი-ნიჩის" ცნობით, ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის მთავრობათა ელჩებს [illegible] დღის განმავლობაში [illegible] გუანდუნის პროვინცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა [illegible] მათი [illegible] შეინარჩუნებაზე.

#იაპონიის გაზეთის „შანხაი მაინიჩის" ცნობით, 12 აგვისტოს შესდგა გუანსის „ნაციონალური ხსნის კავშირის" კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება მოკლე ხანში შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ ჩან-კაი-ში 17 აგვისტომდე არ მოხსნის ბლოკადას.

#პალესტინიდან იტყობინებიან, რომ იქ მოხდა არაბების გამოსვლა. ქალაქ ხებრონის მერი მოკლულია. არაბები თავს დაესხნენ ებრაელთა კვარტალს სფედში. მოკლულია 4 კაცი.

#თეირანში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია მოსაზღვრე რაიონებში კალიასთან საბრძოლველ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

#ესპანეთის მთავრობის ხაზის სამხედრო გემი „ხაიმე I" იმყოფება კართახენის გზაზე, სადაც გაუკეთდება რემონტი.

#ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის შრომის გაერთიანებული კონფედერაციის წარმომადგენლები ჟუო და ბუიონი ტულუზიდან მადრიდში გაფრინდნენ. ისინი არჩეულნი არიან ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავი ევროპული კონფერენციის წევრებად.

#საფრანგეთის ფაშისტთა ლიდერის დე-ლა-როკის კოშკში იპოვნეს გვამი დე-ლა-როკის მდივნისა, რომელიც მოკლულია რევოლვერით. „ლუმანიტეს" და „პოპულერის" ცნობით, გვამი აღმოაჩინეს მკვლელობის მე-4 დღეს. ორივე გაზეთი ეჭვს შეიქმს, რომ ეს თვითმკვლელობაა, და მოითხოვენ სასწრაფო გამოძიებას.

ლადო კეცხოველი
ჟანდარმერიის მიერ ვერაგულად მოკლული
1903 წ. 17 აგვისტოს

ლ. პ. ბერია

ბელადის თანამებრძოლი*

ლენინურ-ისკრული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთერთი გამოჩენილი ორგანიზატორი იყო აგრეთვე ამხ. ლადო კეცხოველი...

...ამხ. ლადო კეცხოველის რევოლუციური საქმიანობა იწყება 1893 წლიდან ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც იგი გამორიცხეს მოსწავლეთა „ბუნტში" მონაწილეობისათვის. იგი იძულებული გახდა 1894 წელს ქ. კიევში გადასულიყო სწავლის განსაგრძობად.

1894-1896 წლებში ამხ. ლ. კეცხოველი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიევის რევოლუციურ მარქსისტულ წრეებში. 1896 წელს ამხ. ლ. კეცხოველი დააპატიმრა პოლიციამ და სამი თვით საპყრობილეში ჩასმის შემდეგ, გადმოასახლა სამშობლოში (საქართველოში) პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

1900 წლის იანვარში ამხ. ლ. კეცხოველი ემალება პოლიციის დევნას და ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის (ამხ. სტალინი და ს. ჯიბლაძე) მითითებით გადადის ბაქოში არალეგალური პარტიული მუშაობის გასაწევად. 1900-1901 წლების პერიოდში ამხ. ლ. კეცხოველმა **ბაქოში დიდი** მუშაობა გააჩაღა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად.

პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები ბაქოში წარმოიშვა 1896-1897 წლების პერიოდში. ამხ. კეცხოველმა მოახერხა გამოეცოცხლებინა და განემტკიცებინა სოციალ-დემოკრატიული წრეები, მოეგვარებინა პოლიტიკური აგიტაცია ნავთის სარეწაოებისა და რკინიგზის მუშათა შორის და შეედგინა ლენინურ-ისკრული სახის მქონე ბაქოს პირველი კომიტეტი.

1901 წლის დამდეგს ამხ. კეცხოველი ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დახმარებით ახერხებს არალეგალური სტამბის მოწყობას ბაქოში.

ტფილისის კომიტეტმა ამხ. კეცხოველი მოამარაგა შრიფტით, მოწყობილობით და ფულით არალეგალური სტამბის მოსაწყობად ბაქოში.

მას შემდეგ, რაც ამხ. კეცხოველი ბაქოში გადავიდა და იქ არალეგალური სტამბა მოაწყო, ტფილისის კომიტეტს შესაძლებლობა მიეცა გამოეცა იქ თავისი არალეგალური გაზეთი.

...1901 წლის სექტემბერში ამხ. კეცხოველმა ბაქოში გამოუშვა ტფილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომერი...

...გაზეთ „ბრძოლა" — ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

...ამხ. ლ. კეცხოველის მუშაობა შეუმჩნევლად ვერ ჩაივლიდა.

... ამხ. კეცხოველი დააპატიმრეს ბაქოში 1902 წ. 2 სექტემბერს, რის შემდეგ ამხ. ი. ბოლქვაძემ მოახდინა არალეგალური სტამბის დროებითი ლიკვიდაცია...

...ამხ. კეცხოველმა დაახლოებით ერთ წელიწადს დაჰყო ჯერ ბაქოს, ხოლო შემდეგ ტფილისის საპატიმროში (მეტეხში).

ამხ. კეცხოველს საპატიმროში მტკიცედ უჭირავს თავი, ისე როგორც ნამდვილ პროლეტარულ რევოლუციონერს შეჰფერის. იგი გამოდის პოლიციელ ჯალათთა წინააღმდეგ ბრალმდებლის როლში და პატიმრებს შორის ეწევა აგიტაციას რეაქციული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ შესანიშნავი პროლეტარული მებრძოლის წინააღმდეგ პოლიცია იყენებს შურისძიების ყველაზე უსაზიზღრეს მეთოდს. ციხის პოლიციის ძაღლი, როტმისტრი რუნიჩი, 1903 წლის 10 აგვისტოს, სწორედ ამხ. კეცხოველის მოკვლამდე შვიდი დღით ადრე, სწერდა ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს:

„ვინაიდან კვლევაძიებით დადასტურდა კეცხოველის სერიოზულობა და მნიშვნელობა რევოლუციური მოძრაობისათვის, სასარგებლო იქნებოდა.... გადასახლების დროს კეცხოველის წინააღმდეგ გამოგვეყენებინა **რაიმე განსაკუთრებული ზომები,** ვინაიდან კეცხოველი, როგორც კი განთავისუფლდება, პირველ **შესაძლებლობისთანავე** გაიქცევა **საზღვარგარეთ** და მომავალში **თავისი უკიდურესი შეხედულებებით უეჭველად დიდ ზიანს მოგვაყენებს".** (არქ. ფ. 36, საქმე № 467, გვ. 59).

ეს „განსაკუთრებული ზომები" იმაში გამოიხატა, რომ 17 აგვისტოს კეცხოველი საპატიმრო საკანში ტყვიით მოჰკლეს.

კეცხოველის საზიზღარი მკვლელობის გამო პარტიის ტფილისის კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი პროკლამაცია:

„ამხანაგებო! კვირას, დილის 9 ნახევარ საათზე, მეტეხის საპატიმროში ტყვიით მოჰკლეს თავისუფლებისა და სოციალიზმისთვის დაუღალავი მებრძოლი ლადო კეცხოველი. სიჭაბუკიდან, უკანასკნელ ამოკვნესამდე იგი დაუღალავად იცავდა ადამიანის წმინდა უფლებებს და პროტესტს აცხადებდა ყოველგვარი ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ...

კეცხოველი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მოსწავლე იყო, რომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო სემინარიის 1893 წლის მღელვარებაში, რისთვისაც იგი სასწავლებლიდან გარიცხეს. შემდეგ იგი კიევის სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ იქაც ორჯერ ჩასვეს საპატიმროში. 1897 წლიდან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიის მუშათა მოძრაობაში. ტფილისში მან მოაწყო კონკის მოსამსახურეთა პირველი გაფიცვა... მასვე პირველს ეკუთვნის „ბრძოლის" რედაქციის მოწყობა.

მუხლს ვიყრით შენი ნეშტის წინაშე, ხალხის თავისუფლებისათვის უშიშარო მებრძოლო.

ამხანაგებო, უპროტესტოდ ნუ დავტოვებთ ამ საზიზღარ, ვერაგულ მკვლელობას და ლადოსავით მძლავრად შევძახოთ:

ძირს თვითმპყრობელობა.
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.
ძირს კაპიტალიზმი.
გაუმარჯოს სოციალიზმს!
ტფილისის კომიტეტი".

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1903 წელს გამოუშვა ბროშურა — „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა", რომელშიაც ნათქვამია:

„ლადომ **პირველმა** შექმნა ქართული რევოლუციონერული ლიტერატურა. მანვე **პირველმა** მოაწყო ჩვენში სარევოლუციო სტამბა, მანვე **პირველმა** გამოსცა ქართული რევოლუციონერული დროგამოშვებითი ორგანო. მანვე **პირველმა** ჩათესა ბაქოს მუშებში რევოლუციის თესლები... აშკარაა ლადო უსაშინლესი მტერი იყო თვითმპყრობელ მხეცისა და ყველა მტარვალებისა. ამას თვით ის უკანასკნელნიც კარგად გრძნობდნენ და კიდეც ამიტომ ასე ულმობლად უსინიდისოთ, ასე ულმობლად საზიზღრათ და ვერაგულად მოჰკლეს იგი". (იხ. ბროშურა: „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა", 1903 წ.)

ეს, როგორ ახასიათებდა კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხ. კეცხოველს და მის როლს ამიერ-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში...

---

*) ამოღებულია ამხ. ლ. ბერიას წიგნიდან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". წიგნის სათაური ჩვენს მიერაა გაკეთებული. **რედ.**

პროლეტარული რევოლუციის რკინის ქუსლით გავსრისოთ ქვეწარმავალნი!

არავითარი შებრალება ხალხის მტრებს!

მოსკოვი

მოსკოვი, 15 აგვისტო. ქარხანა „სერპ ი მოლოტში" გაზეთები დილის 8 საათზე მოვიდა. ნახევარი საათის შემდეგ მუშაობა დაამთავრა პირველმა ცვლამ. მაგრამ მუშები შინ არ მიდიოდნენ. ქარხნის მთელი კოლექტივი შეხვდა სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის საზიზღარი მოქმედების შესახებ. მუშები დარჩნენ სამქროებში. ყველა თავს იყრიდნენ კუთხეებში და ისმენდნენ სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას და „პრავდის" მოწინავეს.

6 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა მის განხილვაში. საუბრების მონაწილეთა აზრები გამსჭვალული იყო სიძულვილით საბჭოთა ხალხის მტრების მიმართ და სიყვარულით თავისი ბელადებისადმი, რომელთა წინააღმდეგაც მიმართა თავისი საქმიანობა ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ბრბომ.

საერთო გრძნობებს გამოხატავს ფოლად-მადნეულის სამქროს სტახანოველი ცვლის უფროსი ამხ. ზუბარევი. იგი აცხადებს:

— იმ დროს, როდესაც ჩვენ რეალურ გრძნობთ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით შესრულებული გმირული მუშაობის ნაყოფს, მჟღავნდება ტროცკისტ-ზინოვიეველთა ჯგუფის ბინძური საქმეები, იმ ჯგუფისა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა იმათ სიცოცხლეს, ვინც მოგვცა უფლება ცხოვრებისა, შრომისა და დასვენებისა. ხალხის მტრები, უნდა მოისპონ.

o

მოსკოვი, 15 აგვისტო. ღრმა აღშფოთებისა და აზღვავებული გულისწყრომით შეხვდნენ კაგანოვიჩის სახელობის ბურთოსაკისურის ქარხანაში ცნობას კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის შესახებ, რომელიც ცდილობდა წაერთმია საბჭოთა ხალხისათვის მისი საყვარელი ბელადები.

სახეხი სამქროს მეორე განყოფილების ამყოფმა ამხ. ტ. მ. პაშკინმა განაცხადა:

— როდესაც გაზეთებში წავიკითხე, რომ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და მთელი მათი ბრბოვა ამზადებდა ჩვენი მშობლიური სტალინის მოკვლას, გული მეტკინა და აღვშფოთდი. რა ბედნიერებაა, რომ ჩვენი სახელმწიფოს დაცვის ორგანოთა სიფხიზლის წყალობით კაცისმკვლელთა საზიზღარი განზრახვა გამომჟღავნდა. სასამართლოს წინაშე წარსდგება ბრბო გაშიშვლებული ბანდიტებისა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ფაშისტ დივერსანტებსა და ჯაშუშებთან. მათ დიდი ხანია დაჰკარგეს ადამიანის სახის უკანასკნელი მსგავსება. მთელი ეს სიბინძურე, რომელსაც სძულს საბჭოთა სახელმწიფო, სულ მთლად უნდა მოისპოს, რათა თავისი სიმყრალით არ სწამლავდეს ჩვენს მშობლიურს საბჭოთა მიწას.

o

მოსკოვი, 15 აგვისტო. კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატის დღის ცვლამ 15 აგვისტოს სადილად შესვენების დროს განიხილა გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის საქმიანობისა და განზრახვის შესახებ. 6 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა ამ დოკუმენტების განხილვაში, რომლებიც მოწმობენ ხსენებული ბანდის უმაგალითო სიძაგლეს. კომბინატის მუშები ერთსულოვნად მიესალმებიან ზინოვიევის, კამენევისა და სხვების სამართალში მიცემის გადაწყვეტილებას და მოითხოვენ ყველაზე სასტიკ ღონისძიებას მათ მიმართ. მავთულის სამქროს მუშა სმირნოვი ამბობს:

— ჩვენ აღშფოთებული ვართ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდიტების საზიზღარი საქმეებით. არავითარი დანდობა პარტიის მტრებს, საბჭოთა ხალხის მტრებს.

მთელ რიგ გამოსვლებში მუშები ლაპარაკობენ იმ გაკვეთილების შესახებ, რომლებიც უნდა გამოვიტანოთ ამ საქმიდან.

o

მოსკოვი, 15 აგვისტო. უღრმესი გულისწყრომით შეიგებნენ სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები ხალხის საზიზღარ მტერთა, ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკელთა საშინელი ტერორისტული განზრახვების ამბავს — კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა სიცოცხლის წინააღმდეგ. ყველა სამქროში 15 აგვისტოს წაიკითხეს სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა და „პრავდის" მოწინავე. მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს დანდობა და პატიება იმათთვის, ვინც ბანდიტურ იატაკქვეშეთში ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ჩვენი სტალინისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ. რუხი თუჯის სასხმელის მუშები უდიდესი აღშფოთების გრძნობას გამოსთქვამენ ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა საზიზღარი გამცემლობის გამო და ერთსულოვნად მოითხოვენ მკაცრ სასჯელს ამ არამზადების მიმართ, რომელთაც თავი მიუყიდიათ თეთრგვარდიელებისა და ფაშისტებისათვის.

— დღეს მუშათა კლასის ხმა ერთიანი უნდა იყოს, — სთქვა ფერადი ლითონის სასხმელის მუშამ ჩერნიკოვმა. — ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სასამართლოსაგან ულმობელი სასჯელი ერთი-მუჭა გამცემლებისათვის, რომლებიც პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ვნებდნენ და ღალატობდნენ მას.

ქარხნის კადრელმა კალატოზმა ნიკოლინმა, რომელსაც 32 წლის საწარმოო სტაჟი აქვს, ღრმა აღშფოთებით განაცხადა:

— ეს ბანდა მავნებლობდა არა მარტო საკუთარი ძალებით, არამედ საზღვარგარეთის დახმარებასაც კი მიმართავდა. არავითარი დანდობა არ შეიძლება ამ არამზადებისა და გამცემლებისა.

გაორკეცებული სიფხიზლის საჭიროების შესახებ ლაპარაკობდა ყველა გამოსული, გაფთრებული გულისწყრომით წარმოსთქვამდნენ ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის საზიზღარ სახელებს. ქარხნის 35 ათასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად განაცხადა, რომ იგი უფრო გააძლიერებს კლასობრივ სიმახვილესა და სიფხიზლეს და ფოლადის კედლად შემჭიდროვდება ყველა მშრომელთა მასწავლებლისა და ძვირფასი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი სტალინის და მისი თანამებრძოლების გარშემო, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

o

ასეთივე კრებები გაიმართა აგრეთვე მოსკოვის კიროვის სახელობის დინამოს ქარხანაში, მიქოიანის სახელობის მოსკოვის ხორცკომბინატში, ძერჟინსკის სახელობის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" ფაბრიკის ბრიგადებსა და ცვლებში და სხვ. ყველგან მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ სსრკ-ის პროკურატურის ცნობას კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ნაძირალების საზიზღარი მოქმედების შესახებ და მოითხოვდნენ ზინოვიევის, კამენევის, ევდოკიმოვის, ბაკაევისა და სხვათა უსასტიკესად დასჯას.

ლენინგრადი

საძაგელი ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის დანაშაულის ამბავი სწრაფად მოედო ლენინგრადის წითელ ფაბრიკა-ქარხნებს. ყველგან მოაწყეს სსრ კავშირის პროკურატურის ცნობის წაკითხვა.

— ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება, თუ როგორ გასცეს მათ მუშათა კლასის ინტერესები ოქტომბრის დიდი რევოლუციის წინ, — განაცხადა კიროვის ქარხნის წარმოების ძველმა მუშამ ამხ. მიხაილოვმა. — სწორედ ამ სამგზის წყეულებმა მოჰკლეს ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი მირონიჩი. ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტს ხალხთა ბელადის ამხანაგი სტალინისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ. არავითარი დანდობა ხალხის მტრებს!

ლენინგრადის ლენინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი მკაცრ სასჯელს მოითხოვს ფაშისტი ბანდიტებისათვის, ჩვენი ბელადების მკვლელობის განმზრახველთათვის, იმ ბელადებისა, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს შესწირეს. ნუ იქნება დანდობა სოციალისტური სამშობლოს მტრებისა და გამცემლებისა! თუ მტერი არ ნებდება — მას სპობენ!

უკრაინა

გაუგონარი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეიგებნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის საზიზღარი მიზნების შესახებ ცნობას საბჭოთა უკრაინის მშრომელები. ფაბრიკა-ქარხნების მუშები მოითხოვენ სასჯელის ყველაზე მკაცრ ღონისძიებას რევოლუციის გამცემლებისათვის, სამშობლოს მოღალატეებისათვის, მთელი ამ საზიზღარი ბანდისათვის მისი წინამძღოლებითურთ — ზინოვიევითა, კამენევითა და სხვებით, რომელთაც სურდათ თავი მოეკვეთათ საბჭოთა ხალხისათვის, მოესპოთ ბედნიერება, სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა მიერ მოპოვებული ბედნიერება, მოეკლათ მშრომელთა უძვირფასესი და უახლობელესი ამხანაგი სტალინი.

ფაბრიკა-ქარხნებში სადილად დასვენების დროს და მუშაობის შემდეგ გაიმართა მრავალრიცხოვანი კრებები, რომელთაც უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისაგან მოითხოვეს ყველაზე მკაცრი სასჯელი ხალხის მტრებისათვის.

სამხრეთის რკინიგზის სტახანოველ-კრივონოსელებმა იკისრეს ვალდებულება უფრო მეტად გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე სატრანსპორტო კონვეიერის ყველა უბანზე.

o

მრავალრიცხოვანი კრებები გაიმართა აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის სხვა საწარმოებში. მუშები ყველგან დაუნდობელ განაჩენს მოითხოვენ ხალხის საძაგელი მტრებისათვის. ხალხის მტრები ნიშანში იღებდნენ პარტიის გულს, თავისი საზიზღარი ისარი მიმართული ჰქონდათ დიდი სტალინისაკენ. მაგრამ მათ ზრახვის შესრულება ვერ მოახერხეს და ვერც როდისმე მოახერხებენ. სოციალიზმის მთელი ქვეყნის მშრომელები მკერდით დგებიან ბელადების დასაცავად.

ტფილისი

კალინინის სახ. ქარხანაში

16 აგვისტოს დილითვე ქარხნის სამქროებში შეიქნა ლაპარაკი ნაძირალა-ტროცკისტების შავბნელი საქმიანობის შესახებ, რასაც მუშები გაეცნენ საბჭოთა კავშირის პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ცნობიდან და „პრავდის" მოწინავიდან. დილის შესვენების გამოცხადებისთანავე მუშებმა მოითხოვეს სახელდახელო კრების მოწვევა, რომ გამოეცხადებინათ აღშფოთება ამ ნაძირალების ჯოჯოხეთური საქმიანობის გამო.

კრებაზე თავი მოიყარეს მუშებმა ყველა სამქროდან. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა 15 მუშა-სტახანოველი. ამხ. ალაჯანოვმა — სტახანოველმა ხარატმა განაცხადა: დროა ცეცხლითა და მახვილითვე გავუსწორდეთ მოღალატეებს, რომლითაც ისინი ფიქრობდნენ საერთაშორისო მუშათა კლასისათვის ყველაზე ძვირფასი კაცის, საყვარელი ბელადის წინააღმდეგ ბრძოლას.

— არავითარი დანდობა სამშობლოს მოღალატეებისა, — გაისმოდა დარბაზში აღშფოთებული მუშების ხმა.

o

თამბაქოს ფაბრიკაში

სამუშაოს დამთავრებისთანავე, ფაბრიკაში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის წარჩინებული სტახანოველები. მათ სიტყვებში მოსჩანდა უსაზღვრო სიყვარული მშობლიური სტალინისადმი და უაღრესი ზიზღი ხალხის მტრებისადმი, ქვეწარმავალთა მსგავს ზინოვიეველ-ტროცკისტებისადმი.

— რამდენჯერ გვსმენია ზინოვიევისა, კამენევისა და მსგავსთა, მათთა პოლიტიკური უსინდისობის ამბავი, — ამბობდნენ მუშები. მიუხედავად ამისა, მუშათა კლასმა მათ მრავალჯერ აპატია დანაშაულობანი. მაგრამ აივსო მოთმინების ფიალა, კმარა პატიება, სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებსო.

o

ავტო-სარემონტო ქარხანა № 8.

ათასმა მუშამ, ინჟინერმა, ტექნიკოსმა მოიყარა თავი სახელდახელო კრებაზე, რომ ათასჯერ გამრავლებული ზიზღი გამოეთქვათ სამშობლოს მოღალატეთადმი.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე სტახანოველები — ამხ. გორგოშვილი, პისკლიანი, ქურიანჯიშვილი, ნერსედოვი, პისარევი, პილოევი, კარაპეტიანი და სხ.

— ტროცკისტ-ზინოვიეველების ბანდის პასუხად, მუშები კიდევ უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი ბელადის — დიდი სტალინის გარშემო. ჩვენ არ ვაპატიებთ ბანდიტებს და ზინოვიეველ ფაშისტებს, რომ მათ სიცოცხლე მოუსპეს ბელადის თანამებრძოლს — ძვირფას სერგეი კიროვს.

o

მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში

„პრავდის" მეთაურმა, რომელიც გამოქვეყნდა 16 აგვისტოს გაზეთებში საერთო აღშფოთების ტალღა გამოიწვია მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მრავალრიცხოვან მუშებში. სახელდახელო კრებაზე ტროცკისტ-ფაშისტების მოღალატეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი ამხ. ალიბეგაშვილი.

მომხსენებლის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მუშა-ქალებმა.

— სამშობლოს მოღალატეთა პასუხად კიდევ უფრო გავამახვილებთ კლასობრივ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მტკიცედ დავდგებით დიდი სტალინის დროშის ქვეშო.

მუშებმა მოითხოვეს მოღალატეთა სასწრაფო განადგურება და საბოლოოდ ალაგმვა.

o

„26" სახელობის ქარხანაში

მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა ქარხნის კოლექტივის საერთო კრება. გულდასმით განიხილეს „პრავდის" მოწინავე „ხალხის მტრებს დანაშაულზე წაასწრეს" და საბჭოთა კავშირის პროკურორის ცნობა.

— ნუ იქნება შებრალება, ნუ იქნება ლმობიერება, ხალხის მტრებისათვის, რომლებიც ცდილობენ წაართვან ხალხს მისი ბელადები! — ასეთია მოკლედ ყველა ამხანაგის აზრი.

— მუშათა კლასის გამცემლებმა, — ამბობს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სახელით ამხ. სარქისოვი, — ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა და კომპანიამ ვერ იპოვეს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ გაერთიანებულიყვნენ ფაშიზმთან და მოემზადებინათ ინდივიდუალური ტერორი მუშათა კლასის ბელადების, ჩვენი პარტიის ბელადების წინააღმდეგ. სასამართლომ, რომლის წინაშე ეს არამზადები წარსდგებიან, მკაცრი განაჩენი უნდა გამოიტანოს. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ მტრებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს ზრდას.

ლაპარაკობს სახარატო სამქროს ძველი სტახანოველი მუშა ამხ. ქეშელაშვილი: ჩვენი მტრები — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვები ოცნებობენ ჩვენი ბელადების მოსპობაზე. ჩვენ უნდა ვსთხოვოთ ხელისუფლებას ერთხელ და სამუდამოდ გვიხსნას ამ არამზადებისაგან.

— ტროცკი — კამენევ — ზინოვიევის ჯგუფი, — ეს ავანტურისტთა ყველაზე საზიზღარი ჯგუფია — აღნიშნავს ამხ. მიხაილოვი (მექანიზაციის განყოფილება).

მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივი მოითხოვს უმაღლეს სასჯელს ფაშისტთა ერთგული ნაგაზებისათვის.

o

ასეთივე კრებები გაიმართა გუშინ რკინიგზის ტფილისის კვანძში, სავაგონო სარემონტო ქარხანაში ამხ. სტალინის სახელობის მე-5 ქარხანაში, ფეხსაცმელის ფაბრიკაში, ტყავის ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკებში და სხვ.

სამშობლოს მოღალატე ტროცკისტ — ბანდიტების საქმიანობით აღშფოთებულმა მუშებმა ყველგან მოითხოვეს მათი სასწრაფოდ და საბოლოოდ განადგურება.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ძველი ხალხური ცეკვა „ზაითარმა", ასრულებს დერინიანი; ცეკვა ოპერა „ანუშიდან"—ასრულებენ ალავერდიანი და კოსტანიანი; ლისიცინის ანსამბლის ტრიო; არაბული ცეკვა—ასრულებენ მელიქიანი და გრიგორიანი.

რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვში

რუსთაველის სახელობის თეატრი 14 აგვისტოს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში საგასტროლოდ და თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

თეატრის ტექნიკური პერსონალი მოსკოვში გაემგზავრა 12 აგვისტოს.

თეატრის მუშაკთა გასაცილებლად ვაგზალზე შეიკრიბნენ საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის, სახელმწიფო ოპერის, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სომხური დრამისა და სხვ.

თეატრის დეკორაციებმა და ბუტაფორიამ დაიკავა 7 ვაგონი.

◇

171 მანეთი ერთ დღეში

სოფ. ლიის (წალენჯიხის რაიონი) ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხრე ბრიგადის წევრმა სოფიო ტონია-ცემენტიამ 10 აგვისტოს, კრეფის პირველ დღეს, 31 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, მეორე დღეს საღამოს 8 საათამდე კი—36 კილო.

12 აგვისტოს მან მოკრიფა 57 კილო ფოთოლი და ერთი დღის ნამუშევარში მიიღო 171 მანეთი.

კრეფის ნორმა ამ კოლმეურნეობაში 5 კილოა, ცემენტიამ კი თავისი სტახანოვური მუშაობით პირველობა მოიპოვა კოლმეურნეობაში.

პირველობას ედავებიან ცნობილი მკრეფავები: თამარ ძაძამია, ვერა ხურციძე და სხვანი. კოლმეურნეობამ სტახანოველ მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე მტკიცედ [illegible] აგვისტოს გეგმა (30.000 კილოს ნაცვლად) [illegible] ადრე შეასრულოს. დღიური ნორმა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობამ 900 კილოგრამამდე აიყვანა, ნაცვლად პირველი ხუთდღიურის 400—500 კილოგრამისა. ახლა იმიტომ ასაა, რომ კრეფა აყვანილ იქნეს 1400 კილოგრამამდე.

ამ კოლმეურნეობას ოპერატიულ დახმარებას უწევს მიმაგრებული ამხანაგი გოგუა (რაიაღმასკომის თავმჯდომარე).

◇

მეთაურთა ცოლების ლაშქრობა ყაზბეგზე

15 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე ტფილისიდან ყაზბეგზე გაემგზავრა № ლეგიონის მეთაურთა ცოლების ჯგუფი 8 ქალის შემადგენლობით. ჯგუფში შედიან: ამხ. პეტროსიანი, შტრეისი, სვირიდოვა, მელნიკოვა, პრიხოდკო, ნერსესიანი, რიბაკოვა და ჩაპურინა.

ყაზბეგიდან მეთაურთა ცოლების ჯგუფი ავლენ ყაზბეგის მწვერვალზე.

ეს ლაშქრობა ეწყობა № ლეგიონის 10 წლისთავის აღსანიშნავად.

სომხური კულტურის ხუთდღიური ტფილისში

შეხვედრა საქართველოს მწერლებთან

გუშინ დილით სომხური კულტურის ტფილისის სახლში შედგა სომხეთიდან ჩამოსული სტუმრების შეხვედრა საქართველოს საბჭოთა მწერლებთან. სომხური კულტურის სახლის მუშაობის შესახებ საინტერესო მოხსენება გააკეთა ამხ. ღარიბოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურის სახლი მუშაობს 22 თებერვლიდან. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო დიდი კულტურული საქმის გაკეთება. სახლთან არსებობს მხატვართა, დრამატურგთა და მწერალთა სექციები, რომლებშიც შეერთებულია ნიჭიერი და კულტურული ძალები. მათ შექმნილი აქვთ ყოველმხრივი პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ახლა დიდი მზადება სწარმოებს შოთა რუსთაველის, პუშკინის და ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. სომხური კულტურის სახლს ამ დიდებული თარიღების აღსანიშნავად შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა. ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი რამდენიმე თვე დაჰყო კოლხიდაში. ისინი ახლა სწერენ საქართველოს ციტრუსოვან რაიონებზე მოთხრობებს და ნარკვევებს.

სომხური კულტურის ტფილისის სახლის დირექტორის ამხ. ღარიბოვის მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. ბ. ჟღენტი.

საქართველოს მწერალთა საზოგადოებრიობა—ამბობს ამხ. ჟღენტი — გულმხურვალედ ესალმება სომხეთის კულტურის საუკეთესო ძალებს. ჩვენ ორი ერის ხალხი ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ ენერგიულად ვაშენებთ სოციალიზმს. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ სომხეთის უდიდესი მწერლების ჰოვანეს თუმანიანის, შირვან-ზადეს და სხვ. [illegible].

ამხ. ჟღენტის სიტყვის შემდეგ სომხურმა გუნდმა დიდი ენთუზიაზმით შეასრულა პროლეტარიატის საყვარელი სიმღერა „ინტერნაციონალი". საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს მხატვარმა გ. ზარზაჯნიანმა, დირიჟორმა ბუდაგიანმა და სხვ.

შეხვედრა აღფრთოვანებით ჩატარდა. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დიდი სტალინის და მისი ნიჭიერი მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას ხსენებაზე დარბაზს ოვაციები და „ინტერნაციონალის" მელოდია აყრუებდა.

ხუთდღიურის პროგრამა 17 და 18 აგვისტოსათვის

ტფილისში ჩამოსული სომხეთის ხელოვნების მუშაკები, ვოკალურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლთა წევრები დღეს ესტუმრებიან საქართველოს მხატვართა ნაწარმოებების გამოფენას და შემდეგ გაემგზავრებიან ახალი მშენებლობების დასათვალიერებლად.

საღამოს მათივე მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტი საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის გაერთიანების საზაფხულო ბაღში.

18 აგვისტოს სტუმრები ინახულებენ საქართველოს ხელოვნებათა მუზეუმს, შემდეგ სომხური აკადემიური დრამის თეატრს, სადაც გაეცნობიან თეატრის კოლექტივის მუშაობასა და მზადებას მომავალი სეზონისათვის. იმავე დღის საღამოს საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის გაერთიანების საზაფხულო ბაღში გაიმართება სომხური ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების კონცერტი. კონცერტის შემდეგ გაიმართება სტუმრების შეხვედრა ტფილისის სახელმწიფო ოპერის კოლექტივთან.

კომბინირებული გადასვლა ტფილისი—მოსკოვი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

კომბინირებული გადასვლის მონაწილენი [illegible] ბილეთებით [illegible] მიმართულებით რამდენიმე სიტყვა გადასვლის ამ (მეხუთე) ეტაპის შესახებ. [illegible] ზღვისპირეთში მგზავრობა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. [illegible] ძლიერად [illegible] დღეს მეტად ძნელია [illegible]

6 აგვისტოს ამინდი ხელსაყრელი იყო და დღიური გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. [illegible] სოფ. [illegible] კოლმეურნეებმა ჩვენი გადასვლისა და ფიზკულტურის მნიშვნელობაზე. [illegible]

7 აგვისტოს გამოვედით [illegible] დილის 8 საათზე. ამინდი [illegible] ხელსაყრელი ვერ იყო. [illegible]

[illegible] დარგში ზღვის ჩვეულებრივ წლის გაღმოსვლებულ [illegible] რაიონში [illegible] ზღვა [illegible] კოლხიდის სამხრეთ [illegible] დისკვალიფიკაცია არ დაიშვა [illegible] ჰაერი [illegible]

ნაშუადღევის 1 საათზე წვიმამ [illegible] ქარის და ტალღების გამო. ბანაკები მოვეწყვეთ [illegible] დღის 3 საათზე [illegible] რაიონულ ცენტრს — ზუგდიდს.

ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მეგობრული დახვედრა მოგვიწყო. გაიმართა ამხანაგებთან საუბარი გადასვლის მნიშვნელობაზე.

ამინდი ჰქონდა ძლიერი ქარი (8 ბალის სიძლიერით) და იძულებული ვართ გაუვლით ამინდის გამოკეთებას. როგორც კი შესაძლებელი იქნება, დავიძრებით წინ.

კომანდის განწყობილება და ფიზიკური მდგომარეობა საუცხოოა.

შ. ბელენიძე.

ტურნირი ნოტინგემში

მეხუთე ტურის პარტიებში: ეივემ მოუგო [illegible], ტარტაკოვერმა—ბოტვინიკს. ალეხინმა მოუგო ფლორს პირველ ტურიდან გადადებული პარტია.

მეექვსე ტური

მეექვსე ტურში შესვენებამდე მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. ლასკერი და კაპაბლანკა მეცხრამეტე სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე. მე-19 სვლაზევე ყაიმით დამთავრდა [illegible] ჩემპიონის ეივეს დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

ქულა, წინ არიან: მ. ეივე+4½ და მ. ბოტვინიკი+4 (ორივეს ხუთი პარტიიდან).

o

მეშვიდე ტურში ითამაშებენ: ბოტვინიკი—კაპაბლანკა, ეივე — ბოგოლიუბოვი, ალეხინი — რეშევსკი, ტომასი—ფლორი, ტეილორი — ლასკერი, ვინტერი—ფაინი, ვიდმარი—ტარტაკოვერი. თავისუფალია ალექსანდერი.

ნეკროლოგი

ბართლომე კოლუა

14 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (კიბო) გარდაიცვალა ბართლომე ანდრიას-ძე კოლუა. განსვენებული ძველი წევრი იყო ბოლშევიკური პარტიისა. ბართლომე დაიბადა 1893 წელს [illegible] და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად და აქტიურად ემსახურებოდა კომუნიზმის გამარჯვების საბოლოო საქმეს.

1914 წ. გერმანიის ფრონტზე არმიაში სამსახურის დროს იგი მუშაობდა ჯარის ბოლშევიკურ ჯგუფში. 1918 წელს თავიდან ხელში იარაღით იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ გეგეჭკორის რაზმში. იმავე წლის ივნისს, სამეგრელოს აჯანყების დროს, როდესაც აჯანყებულთა რაზმი [illegible] იგი [illegible] დაიჭირა და ტყვედ იქნა შეპყრობილი. განთავისუფლების დღიდანვე მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

1921 წლიდან იმყოფებოდა მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე როგორც [illegible], ისე სამოქალაქო დაწესებულებებში. უკანასკნელ დროს მუშაობდა სატრესტის სისტემაში არსებული [illegible] ქარხნის დირექტორად.

ამხ. ბართლომე დაუვიწყარი დარჩება ამხანაგთა ხსოვნაში.

ს. კუხალეიშვილი, ი. ფირცხალავა, კლ. ბოკერია, დ. ამირხანოვი, ბ. ხანდუკელი, პ. ქადაგიშვილი, გ. ცინცაძე, ივ. ძაძეიშვილი, ივ. ძაძამია, ნ. ლეკიშვილი.

◇

შემთხვევები

#ხულიგნობა. ქუჩაში ჩხუბისათვის მილიციაში მიიყვანეს მოქ. გ. ა. გვარამაძე (ფეოდოსიის ქ. 8). მოქ. გვარამაძე ხულიგნობისათვის წარსულში არა ერთხელ იყო დაპატიმრებული.

#უბედური შემთხვევა. 15 აგვისტოს სახკომსაბჭოს სახლის მშენებლობის სამუშაოდან (რუსთაველის პროსპექტი) მუშაობის დროს გადმოვარდა მუშა ს. ტ. საღარიძე და დაშავდა.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

— საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „ბოლშევიკთა პარტია პროლეტარიატის დიქტატურის პირველ პერიოდში". საღამოს 8 საათზე.

— პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია პროპაგანდისტთა და აგიტატორთათვის ესპანეთის რევოლუციის საკითხების შესწავლის მეთოდიკის შესახებ. საღამოს 8 საათზე.

— ლექტ. კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე „სამოქალაქო ომი ესპანეთში". საღამოს 8 საათზე.

18 აგვისტო.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
ყოფ. მუშტაიდი
დიდი სეირნობა
„ავიაციის დღესასწაული"

თეატრისა და ესტრადის საუკეთესო ოსტატთა
კონცერტი-ესტრადა
კონცერტის დასაწყისი 9 საათსა და 15 წუთზე.

ექვილიბრისტიკა აეროპლანზე
ცირკის დიდი ატრაქციონი
3 — ემილიო — 3
სახალხო ორკესტრი ს. ი. ფიორშტადტის ხელმძღვანელობით. ფეიერვერკი აეროპლანით გაფრენა პარკში.

ხმოვანი კინო „ცირკი"
ევროპული ცეკვა ჯაზი
[illegible] ხელმძღვანელობით.
პარკში შესასვლელი და კონცერტის დასასწრები ბილეთი 1 მან.

18 აგვისტო.

ლენრაიონის სარემონტო ტრესტის 1935 წლის

ბალანსი

1936 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი / პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	66366	39	1	სამეურნეო ფონდი	15719	85
2	მასალები	59406	35	2	რეზერვები	704	07
3	ფულადი საშუალებანი	2230	44	3	კრედიტორები	129874	76
4	სამუშაოთა წარმოება	1716	60	4	ეკონომია და გადანაზარჯი	131489	78
5	დებიტორები	145601	00				
6	სხვადასხვა ანგ. სწორება	2467	68				
	ბალანსი	277788	46		ბალანსი	277788	46

ბალანსი დამტკიცებულია ლენრაისაბჭოს საფინანსო განყოფილებასთან არსებულ საბალანსო კომისიის მიერ 1936 წ. 29/III ოქმი № 26.
ლენრაიონის სარემონტო ტრესტის დირექტორი—ხ. არ. მალხაზიანი.
ლენრაიონის სარემონტო ტრესტის მთ. ბუღალტერი—ტ. ერ. კაკაბაძე.
481

ბალანსი

კოლხიდმშენის მუშათა მომარაგების განყოფილებისა 1935 წლისთვის

აქტივი / პასივი

№№ რიგზე	ანგარიშის დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.	№№ რიგზე	ანგარიშის დასახელება	ჯამი მ.ნ.	ჯამი კაპ.
1	საქონელი და მზა პროდუქცია	179370	67	1	მიზნობრივი რეზერვები	21027	84
2	ფულადი საშუალებანი	14765	91	2	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	256494	88
3	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	49173	72	3	სახბანკის მოკლევადიანი კრედიტები	50104	02
4	ძირითადი საშუალებანი	202029	30	4	ურთიერთანგარიშსწორება კოლხიდმშენთან	196355	81
5	საწარმოო მარაგი	78342	95				
	ბალანსი	523982	55		ბალანსი	523982	55

მუშ. მომარაგების განყოფილების უფროსი გ. ჩაჩავა.
უფროსი ბუღალტერი ფ. კუპრავა.
201

ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
18 აგვისტოს
საბჭოთა სომხეთის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლების გამოსათხოვარი გამოსვლა
1. სომხეთის სახ. კონსერვატორიის გუნდი ა. ალთუნიანის ხელმძღვან.
2. სომხეთის სახ. ოპერის სოლისტები.
3. ხალხური სიმღერების შემსრულებელი შარა მკრტჩიანი.
4. ხალხური ცეკვები ნარტი ლისიციანის დადგმით.
5. სიმფონიური ორკესტრი სახ. ოპერის მთავარი დირიჟორის ა. ბუდაგიანის ხელმძღვანელობით.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება. 150

ტფილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი
აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება ა. წ. 25 აგვისტოს.
15721 დირექცია.

ბორჯომის სატყეო, ტექნიკურ და პედაგოგიურ ტექნიკუმებში შემსვლელთა
განცხადებების მიღება იქნება 29 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოს და გაგრძელდება 1 სექტემბრამდე.
სწავლა ყველა კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს, დილის 9 საათზე.
15717 დირექცია.

საქართველოს ლარებკომის განყოფილება ქალ. ახალციხეში
რეგისტრირებულია ახალციხის რაიფინგანში № 6, 1936 წ. 22 აპრილს.
საქმიანობის საგანი: ტრიკოტაჟის და ფეხსაცმლის წარმოება.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის ახალციხის განყოფილებაში № 110—5.
მისამართი: ახალციხე, მესამე ინტერნაციონალის ქ. № 61.
თავმჯდომარე დაჯიელაშვილი.
უფრ. ბუღალტერი კოლოსოვი.
25

გაუბედურებული ცოლი ვერა გოროზია შვილებით: ნათელათი, კოტიკოთი ღრმა მადლობას უცხადებს განათლების განყოფილების თანამშრომლებს, ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს და ამხანაგ-მეგობრებს, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს მასწავლებელი ვალოდია გოროზიას დაკარგვის გამო. 15723

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანნა, შვილები: მიშა, ლიუბა, შალვა და სერგო იუწყებიან ძვირფასი დავით ნიკოლოზის-ძე ბაბუნიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 აგვისტოს. გამოსვენება 5 საათზე დიღმის ქ. 13. 15725

სატრესტის სახაზო სწავლების თანამშრომლები: ბოკერია, შილაკაშვილი, ხადური, ჩაჩავა, თოფურიძე, კახიძე, თილაკაძე, ნორაკიძე, ნასიძე, ხუბაევი იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის ამხ. ბართლომე კოლუას გარდაცვალებას. დაკრძალვა, დღეს 5 საათზე. 15715

სტალინის სახ. რაისაბჭოს [illegible] ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე [illegible] თანამშრომლის ვერა ზურაბის-ასულ მინაშვილის გარდაცვალებას. სასამართლოს ქ. 44. 15727

ცოლი ეკატერინე, შვილები: [illegible] და კოლე შელიძეები, რძალი თამარ, შვილიშვილები: [illegible] იუწყებიან საზოგადოებას ხარიტონ დავითის-ძე შელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. შროშაში. 15724

უახლოესი მეგობრები: [illegible] იუწყებიან, რომ 17 აგვისტოს, 6 ნახ. საათზე ვაკის სასაფლაოზე [illegible] ანიჩკას ხსოვნის აღსანიშნავად. 15697

მეუღლე [illegible], შვილები: ლიუბა, [illegible] იუწყებიან ხანუმ ლევანის-ასული დადიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible]. [illegible]

უახლოესი ამხანაგები: ნინო, მიშა, ბეჟანიშვილები, [illegible] კალანდაძე, ფსიტაძე, ებანოიძე, [illegible], გიორგაძე, ტერიაშვილი, გიგაური, ტუფინაშვილი, ხვედელიძე მწუხარებით იუწყებიან ამხანაგის შალვა ცქიტიშვილის მამის [illegible] ცქიტიშვილის გარდაცვალებას. 15716

ღრმად დამწუხრებული მშობლები ლუკა, პეპა, ძმები ვლასი, სიმონ მამალაძეები ოჯახებით, დები თეკლე, ბარბარე იუწყებიან ძვირფასი შვილისა და დის ასინეთი ლუკას-ასული მამალაძე—შარაშიძის უდროოდ გარდაცვალებას. 15719

პროფესორი სიმონ ყიფშიძე მეუღლით, შალვა, ლენა და კონსტანტინე ყიფშიძეები იუწყებიან შვილიშვილის, შვილის და ძმისწულის მერაბიანოს გარდაცვალებას. პანაშვიდი 18 აგვისტოს 7 ს. გამოსვენება 19 აგვისტოს 5 ს. [illegible], 9. 15726

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ. 8542